F76 №460
32

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

კვირა, 4 იანვარი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 1 (212). ფასი 30 კაპ.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VI სესია, რომელიც სამამულო ომის დღეებში შეიკრიბა, მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნის თქვენ — სსრ კავშირის ხალხთა დიდ ბელადს, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელს.

სტალინურ გენიას მიჰყავს ჩვენი მძლავრი წითელი არმია იქითკენ, რომ საბოლოოდ და სავსებით გაანადგუროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ბანდები, რომლებიც მუხანათურად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს და რომლებიც ხელჰყოფენ სსრ კავშირის ბედნიერ ხალხთა არსებობასა და თავისუფლებას.

ჩვენი გმირული წითელი არმია გამანადგურებელ დარტყმებს აგემებს გერმანელ ფაშისტთა ურდოებს და ბევრ უბანზე ავიწროებს მათ, არ აძლევს საშუალებას ფეხი მოიკიდონ თავდაცვის ახალ ზღუდეებზე.

საბჭოთა ხალხმა და მისმა წითელმა არმიამ დაიცვეს ჩვენი მშობლიური მოსკოვი, დაიცვეს ლენინის დიდი ქალაქი და აგემეს მტერს დარტყმები, რომლებიც აიძულებს მას სულ უფრო და უფრო შორს უკუიქცეს დასავლეთისაკენ.

ახალ, 1942 წელს ჩვენ შევეგებეთ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გამარჯვებათა ნიშნით.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს წელი იქნება ის წელიწადი, როდესაც სავსებით განადგურდება ჰიტლერული გერმანია, რომელსაც თავის დანაშაულთა სიმძიმე გასრესს.

მტერს იმედი ჰქონდა, რომ ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება მისი პირველი დარტყმებითვე შესუსტდებოდა.

მაგრამ ჰიტლერის ბანდა სასტიკად მოტყუვდა ანგარიშში.

მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის ძლიერების შერყევა.

ხალხთა ამ დიადი მეგობრობის დროშის ქვეშ, რომელიც უმაგალითოა კაცობრიობის ისტორიაში და რომელიც წარმოშობილია ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკით, ჩვენ ძლიერნი და უძლეველნი ვართ.

ქართველი ხალხი მეგობრობის მჭიდრო კავშირით არის შედუღებული სსრ კავშირის ყველა ხალხებთან, დიდ რუს ხალხთან, რომელიც უფროსია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელოვანი ოჯახის თავისუფალ და თანასწორ ხალხთა შორის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელნი, ასრულებენ რა თქვენს ისტორიულ მითითებებს, შეუსვენებლივ მუშაობენ ჩვენი გმირული მშობლიური წითელი არმიისათვის დახმარების გასაძლიერებლად, ეხმარებიან მას იმაში, რომ შეასრულოს დიადი ისტორიულ-განმათავისუფლებელი მისია—სავსებით გაანადგუროს გერმანიის ფაშიზმის, მთელი მოწინავე კაცობრიობის ამ უბოროტესი მტრის შავი ძალები.

ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს, რომ ჯერ კიდევ მოგველის ბევრი სიძნელე, ბევრი პასუხსაგები ამოცანა, რომლებიც მოითხოვს კიდევ უფრო ენერგიულ და თავდადებულ მუშაობას წითელი არმიის დასახმარებლად და ჩვენი ზურგის გასამაგრებლად.

საქართველოს ბევრმა საწარმომ და მრეწველობის მთელმა დარგებმა ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმები, საწარმოებში მომზადებულია ახალი კადრები მუშებისა და მუშა-ქალებისა, რომლებიც წარმოებაში მოვიდნენ არმიაში მობილიზებულთა ნაცვლად. განუწყვეტლივ ივსება ორასოვანთა რიგები.

იმ მოთხოვნებს, რასაც უყენებს ამჟამად ფრონტი ზურგს, თავისი მუშაობა შეუფარდა ბევრმა საწარმომ, რომლებმაც ფართოდ გაშალეს ახალი სახის თავდაცვითი პროდუქციის ათვისება და გამოშვება.

ახორციელებენ რა შინაგანი საწარმოო-ტექნიკური რეზერვების მობილიზაციას, იჩენენ რა შემოქმედებითს ინიციატივას, საქართველოს სამრეწველო-საწარმოთა კოლექტივები 1942 წელს შეეგებნენ წარმოების ტემპების შემდგომი გაძლიერების, მშობლიური წითელი არმიისათვის დახმარების შემდგომი გაძლიერების ნიშნით.

ასრულებენ რა თქვენს იმ მოწოდებას, რომ მივცეთ ქვეყანას, წითელ არმიას მეტი და მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული მრეწველობისათვის, საქართველოს კოლმეურნეები უპასუხებენ ენერგიული შრომით საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებზე.

მოკრეფილია 58 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი — თითქმის 7 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან. საქართველოს ჩაის ფაბრიკებმა ვადამდე დაამთავრეს ჩაის ფოთლის გადამუშავება და გამოუშვეს 93 მილიონი მანეთის მზა პროდუქცია.

მოკრეფილი და დამზადებულია ასეულ მილიონობით ციტრუსოვანი ნაყოფი. წარმატებით სრულდება თამბაქოს და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურების დამზადების გეგმები.

საქართველოს ინტელიგენციამ მთელი თავისი მუშაობა დაუმორჩილა ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს. სამეცნიერო დაწესებულებანი ფრონტისათვის პრაქტიკულ დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ.

საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნენი და ინტელიგენცია პირობას გაძლევენ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა შეასრულონ ის ამოცანები, რომლებიც ომიანობის დროის პირობებმა დაუსახა ჩვენს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას.

ამ მუშაობაში ჩვენ ალგვაფრთოვანებს **ლენინ-სტალინის** დიადი პარტია, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩვენ მივაღწევთ გადამწყვეტ გამარჯვებას ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, გერმანიის ფაშიზმის საბოლოო განადგურებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ აღგვაფრთოვანებს ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი**, რომლის ნებისყოფაც მთელი ჩვენი ცხოვრებისა და ბრძოლის კანონია.

გაუმარჯოს ჩვენს გმირულ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას!

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა გენიალურ ბელადსა და მხედართმთავარს, მშობლიურ, დიდ **სტალინს!**

ქართველი მწერლების საახალწლო ამანათი მოქმედი არმიის მებრძოლებს

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში საქართველოს საბჭოთა მწერლებმა საჩუქრების ახალწლიური პარტია გაუგზავნეს ფრონტზე მოქმედ ჩვენს სახელოვან მებრძოლებს. ამ საქმისათვის გამოყოფილმა კომისიამ შეიძინა, სათუთად ჩაალაგა ყუთებში და დანიშნულების ადგილს [illegible]: ორმოცი შეკვრა თამბაქო, ოთხასი კოლოფი პაპიროსი, თბილი საცვლები, ხელთათმანები, წინდები, ზეწრები, ბალიშისპირები, ტკბილი ნამცხვრები, ფოსტის ქაღალდები, კონვერტები, ბლოკნოტები, ოდეკოლონის ფლაკონები და სხვ.

ამ საახალწლო ამანათთან ერთად ქართველმა მწერლებმა შემდეგი ბარათი მისწერეს მებრძოლებს:

„გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ ახალ გამარჯვებას, ძვირფასო მებრძოლებო! მთელი საბჭოთა ხალხი და მთელი მსოფლიო განცვიფრებულია თქვენი ვაჟკაცობით, თქვენი სიმამაცით. თქვენ დაამტკიცეთ, თუ რა მოუდრეკელ ძალას წარმოადგენს საბჭოთა ხალხის არმია. ქართველი საბჭოთა მწერლები, რომელთაგან ზოგნი უკვე ფრონტზე იმყოფებიან, ხოლო მეტი ნაწილი ამჟამად ეუფლება საბრძოლო იარაღს, რომ პირველ საჭიროებისთანავე გაიზიაროს თქვენი სასიქადულო ხვედრი სამშობლოს დამცველისა, თავიანთ უკანასკნელ ნაწარმოებებში თქვენს საარაკო გმირობას და სიმამაცეს ნიმუშად უსახავენ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდა პატრიოტებს.

გიგზავნით რა ამ მცირე საახალწლო ამანათს, იმედი გვაქვს, რომ თქვენ მას მიიღებთ იმ მზრუნველობის და უსაზღვრო სიყვარულის გამოხატულებად, რომელსაც თქვენდამი იჩენს მთელი საბჭოთა ხალხი".

ამხ. გ. თ. სტურუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. **სტურუა გიორგი თედორეს-ძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი, 1942 წ. 3 იანვარი.

ლაპარაკობს მოსკოვი!

ალექსანდრე აბაშელი

როცა ფარდას მოატანს შუქი ნათელ ჩრდილივით
და ცა ლურჯად იელვებს ჩემი ფანჯრის რაფაზე,
მე მაღვიძებს რადიოს საამური ყივილი, —
მე ამ ყივილს ყოველგვარ ხმაზე მეტად ვაფასებ.

ლაპარაკობს მოსკოვი! გამარჯვების თქმა არი!
ტალღას ელვა მოარხევს, მოჰქრის, არა გვიანობს.
ლაპარაკობს მოსკოვი! რა საამო ხმა არი!
ეს ცოცხალი კოლოფი ჩონგურივით ხმიანობს.

ხან ვაჟის ხმა ზეიმობს, თითქო ღრუბლის იალქანს
მონავარდე არწივის ფრთები გადასწოლია.
ხანაც ქალი ღუღუნებს, თითქოს კრემლის ნიავქარს
საყვარელი ბელადის სუნთქვა გამოჰყოლია.

ლაპარაკობს მოსკოვი! მუსრავენო ყაჩაღებს
ჯარი ძლევამოსილი და ქარბუქი მყინავი.
ისმის, ჩვენი მხედრობა ბრძოლას როგორ აჩაღებს,
„უკანასკნელ საათის" ნაპერწკლები ბრწყინავენ.

ამ საათზე ისარი კიდევ გადასცურდება,
მტერს გაულეტენ ბოლომდე ჩვენი ქვეყნის გმირები.
ჩემო დიდო სამშობლოვ! რა ბრწყინვალედ სრულდება
შენი მხედართმთავარის ბრძნული დანაპირები!

გარბის მტერი ძლეული... მალე გადაიმსხვრევა
მისი ხმალი წყეული და სიკვდილის ცელიცა.
მტრის გეგმა და იმედი ილეწება, იხევა,
ჩვენ კი ძლევის გრიალით ვხვდებით ახალ წელიწადს.

გამარჯვების გზით

ვასო გორგაძე

თვეებმა განვლო, სისხლისმღვრელ ბრძოლით
არც ერთი წუთი მოგვისვენია;
სიმართლის დროშა გვყავს წინამძღოლი
და გამარჯვებაც მხოლოდ ჩვენია.

დარტყმა როსტოვთან, მოსკოვის კარზე
მტერს არასოდეს დაავიწყდება
და ვერაგ ფაშიზმს ჩვენს მიწა-წყალზე
ელის სიკვდილი და დამიწება.

მტკიცეა ფიცი ლენინგრადელთა,
მტკიცეა რწმენა ჩვენი გმირების:
ან სამუდამოდ შევმუსრავთ მტერთა,
ან მამულს მსხვერპლად შევეწირებით.

ყველგან: ქალაქად, სოფლად, ტყეებში
დავკრათ მტრის ბანაკს ურყევის ძალით,
ჩვენ განსაცდელის მძიმე დღეებშიც
გამარჯვების გზით მივყავართ სტალინს!

თვეებმა განვლო, სისხლისმღვრელ ბრძოლით
არც ერთი წუთი მოგვისვენია,
სიმართლის დროშა გვყავს წინამძღოლი
და გამარჯვება მხოლოდ ჩვენია!

ახალი წელი, ახალი გამარჯვებანი

სამამულო ომის ცეცხლში გამოწრთობილმა ჩვენმა მამაცმა არმიამ, ამხანაგ სტალინის გენიალური სარდლობით, საბჭოთა ხალხს მარად დაუვიწყარი სასიხარულო ახალი წელიწადი გაუთენა.

30 დეკემბერს საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ ჩვენს სამშობლოს აუწყა — ჩვენი უშიშარი არწივების იშვიათი ვაჟკაცობის ბრწყინვალე ნაყოფი, — ქერჩის ციხე-სიმაგრის და ქალაქ ფეოდოსიის განთავისუფლება, ხოლო 31 დეკემბერს ღამით, — ქალაქ კალუგის აღება და გენერალ გუდერიანის საჯავშნო-სატანკო არმიის განადგურება.

ეს არის გაგრძელება იმ კონტრშეტევისა, რომელიც როსტოვის, ტიხვინის, ელეცის, კალინინის, უამრავ სხვა ქალაქებისა და სოფლების აღებით და უთვალავი სამხედრო ნადავლის ხელში ჩაგდებით დაიწყო.

გასულმა წელმა უმძიმესი განსაცდელი არგუნა საბჭოთა ხალხს. მთელი ევროპის საჭურველით თავით ფეხებამდე შეიარაღებული ფაშისტ ყაჩაღთა მრავალმილიონიანი არმია მზაკვრულად და მუხანათურად თავს დაესხა ჩვენს მშვიდობიან ქვეყანას. მთელი ხუთი თვის განმავლობაში იგი წინ მოიწევდა და გაცოფებული ნადირის დაუნდობლობით ხოცავდა ჩვენს მშვიდობიან მოსახლეობას, სპობდა ჩვენს ქალაქებსა და დაბა-სოფლებს, ანადგურებდა საბჭოთა ხალხების დიდი კულტურის შესანიშნავ ძეგლებს.

მაგრამ მძიმე განსაცდელში ჩავარდნილ საბჭოთა ხალხს ერთი წუთითაც არ დაუკარგავს რწმენა გამარჯვებისა, ერთი წუთითაც არ გასტეხია გული და წელში არ მოდრეკილა. პირიქით, რამდენადაც უფრო საშიში ხდებოდა მტრის ბარბაროსობა, მით უფრო მტკიცდებოდა საბჭოთა ხალხის ნებისყოფა, მით უფრო იწრთობოდა მისი საბრძოლო უნარი, მით უფრო ძლიერდებოდა ფაშისტ ურდოების შეჩერების, მოდრეკის, დამარცხების და საბოლოო განადგურების გადაწყვეტილება.

გასულმა წელმა მრავალი მძიმე წუთი განაცდევინა საბჭოთა ხალხს, მაგრამ ამავე დროს აღჭურვა კიდეც იგი ისეთი თვისებებით, რომელნიც ჩვენს სამშობლოს, მის არმიას ხდიან უძლეველ ძალად და რომელნიც საბოლოო ანგარიშში ჩვენს სასარგებლოდ ხრიან ომის სასწორს.

ომის პირველ თვეებში სამხედრო ცოდნით, პირველხარისხოვანი ტექნიკით შეიარაღებული, თავისი სულისკვეთებით რევოლუციური, თავისი დანიშნულებით პროგრესიული, ჩვენი სახელოვანი არმია პრაქტიკულად გაცნობილი არ იყო თანამედროვე ომის თავისებურებას, ომის წარმოების მოულოდნელ ხერხებს და საშუალებებს, ტექნიკურ და ტაქტიკურ სიახლეს. ფაშისტურ არმიასთან რამდენიმე თვის ომმა ჩვენ მამაც ჯარს ეს პრაქტიკული გამოცდილებაც მისცა და ამით გააბათილა ის უპირატესობა, რომელიც მოწინააღმდეგემ ორი წლის ომის გამოცდილებით შეიძინა. ჩვენი რიგითი მებრძოლები, ჩვენი მეთაურები და სარდლები ამჟამად უკვე არიან თანამედროვე ომის წარმოების შესანიშნავი ოსტატები, რომლებმაც მტერს ხელიდან გამოჰგლიჯეს ინიციატივა და მთელ ფრონტზე გამანადგურებელი შეტევა გააჩაღეს. ეს არის გასული წლის პირველი დიდი მონაპოვარი.

გასული წლის მეორე დიდი მიღწევაა ის, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა ხალხების მთელი ოჯახი, დიდი ბელადის მოწოდების თანახმად, იქცა ერთს უზარმაზარ სამხედრო ბანაკად. მთელი ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყანა თავისი ულეველი რესურსებით დიდი სამამულო ომის სამსახურში ჩადგა. ომობს წითელი არმია, მასთან ერთად ომობს მთელი საბჭოთა ხალხი. მთელმა ჩვენმა მეურნეობამ შესანიშნავად გამოიყენა განვლილი ექვსი თვე, მთელმა ჩვენმა მრეწველობამ გარდაქმნა თავის მუშაობა, მთლიანად დაუმორჩილა იგი სამამულო ომის საჭიროებას, წარმატებით გადალახა ომით გამოწვეული სიძნელეები — სარეკორდო სისწრაფით ომის ზონიდან ღრმა ზურგში გადაისროლა, და აამუშავა სამხედრო ქარხნები, შესცვალა ჯარში გაწვეული მუშათა კადრები ახალი ძალებით — ახალგაზრდობით და მუშა ქალებით, რომლებიც, რაც დრო გადის, ამაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციას და ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. ამავე ხანებში შეიქმნა ახალ საომარ იარაღთა წარმოება, უამრავმა საწარმომ, რომელიც თავისი ხასიათით დაშორებული იყო სპეციალურ სამხედრო ამოცანებს, დაიწყო სამხედრო მასალის და საჭურვლის წარმოება. ყველა საწარმოო კოლექტივმა და ამ კოლექტივის ყველა წევრმა მონახა ისეთი საქმე, რომელიც უშუალოთ სამამულო ომის საჭიროებას ემსახურება და აძლიერებს ჩვენი არმიის შეტევითს უნარს.

გასული წლის მესამე უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია ის, რომ უბოროტესი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენმა ხალხმა შეიძინა ძლიერი მოკავშირენი—დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. ამჟამად ჩვენი არმიის შეიარაღებისათვის მუშაობენ ამ უაღრესად ინდუსტრიული ქვეყნების ბუმბერაზი სამხედრო ქარხნებიც, რომლებიც უკვე სამი თვეა ჩვენი ჯარისათვის ჰგზავნიან სხვადასხვა სახის სამხედრო საჭურვლის განუწყვეტელ პარტიებს.

ამრიგად, 1942 წლის დამდეგს გვაქვს სრული საფუძველი ვსთქვათ, რომ საბჭოთა კავშირი არასოდეს ისე ძლიერი არ ყოფილა, როგორიც არის დღეს.

ახლა ვიკითხოთ, რა მისცა 1941 წელმა ჰიტლერის გერმანიას?

ომის პირველ თვეშივე სამარცხვინოთ ჩაიფუშა ფაშისტ მილიტარისტების „ბლიცკრიგი" ე. ი. საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების ელვისებური მოსპობის გეგმა, ომის მეხუთე თვეზე ფაშისტურმა გერმანიამ დაჰკარგა 6 მილიონი მეომარი, მილიარდებად ღირებული სამხედრო საჭურველი; საბჭოთა და ინგლისის ავიაციის ბომბარდირების შედეგად ჰიტლერულ გერმანიას გაუნადგურდა მრავალი სამხედრო სამრეწველო ქალაქი, მოეშალა ტრანსპორტი; თავისი ღრმა ზურგი — საკუთარი და დაპყრობილი მოსახლეობა გადაექცა ვულკანად, რომელიც ყოველწუთში მზად არის ამოხეთქოს და დამარხოს ჰიტლერის „ახალი წესრიგი". რაც მთავარია, ფაშისტურმა ჯარმა დაჰკარგა რწმენა თავის უძლეველობაში, დაჰკარგა იმედი გამარჯვებისა, იგი ფიზიკურად დაუძლურდა და მორალურად გატყდა.

ამრიგად, 1942 წლის დამდეგს გვაქვს სრული საფუძველი ვსთქვათ რომ ფაშისტური გერმანია არასოდეს ისე არ ყოფილა დაუძლურებული, და დაშორებული თავის გიჟურ ოცნებათა განხორციელებას, როგორც დღეს.

ჩვენი გულადი და შეუპოვარი წითელი არმიის ძლევამოსილი კონტრშეტევით უკუქცეული ფაშისტური არმია და მთელი ნაცისტური გერმანია, რომელიც დრაკონებს სთესდა და ტილები მოიმკო, სწრაფად უახლოვდება იმ მომენტს, როცა იგი გაისრისება თავის საშინელ ბოროტმოქმედებათა სიმძიმის ქვეშ.

ეგებება რა ახალ წელს ბრწყინვალე გამარჯვებებით, საბჭოთა ხალხმა და მისმა არმიამ კარგად იციან, რომ ეს პირველი ისტორიული გამარჯვებანი მოპოვებულია უდიდესი სულიერი სიმტკიცით, თავგანწირული ბრძოლით ომის ველზე და თავდაუზოგველი შრომით სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში.

ფიზიკური და სულიერი ძალების ასეთივე დაძაბულობა და რკინისებური დარაზმულობა, გენიალური მთავარსარდლის დიდი სტალინის ხელმძღვანელობა უზრუნველჰყოფენ საბჭოთა ჯარების შემდგომი შეტევის ძლევამოსილებას, პირსისხლიანი ფაშიზმის დასამარებას.

ამ რწმენით განაგრძობს ბრძოლასა და შრომას გოლიათი საბჭოთა ხალხი —ჰიტლერიზმის საბოლოო განადგურებამდე.

პირველი ქართული გაზეთი 1812 წლის სამამულო ომის შესახებ

ტ. კასრაძე

1812 წლის სამამულო ომის ხსოვნა ჯერ ისევ ცხოველი იყო, როდესაც საქართველოში პირველი გაზეთი გამოვიდა. იგი ოფიციოზის ხასიათს ატარებდა, მთავრობის განკარგულებებთან და „გამოცხადებასთან" ერთად სხვადასხვა ამბებსაც ბეჭდავდა. ელენეს კუნძულზე სამუდამოდ გაძევებული და ჯერ ცოცხალი ნაპოლეონ 1-ლი ბონაპარტე ჯერ კიდევ არა ჰყავდა მივიწყებული მსოფლიო პრესას. მის შესახებ ცნობები „საქართველოს გაზეთშიაც" არის გადაბეჭდილი. საინტერესოა მე-4 ნომერში მოთავსებული ცნობა ლონდონიდან (5 იანვრის თარიღით) ნაპოლეონის გაპარვის განზრახვაზე. ნაპოლეონს 7 ყარაული მოხერხებულად დაუძინებია, მაგრამ ერთ მათგანს გაუგია, „სწრაფად მივარნდია იმ დიდ მხედართმძღვანთან, რომლის შიშით ძრწოდნენ მრავალი მილიონი და მამაცურად უტაცნია ხელი საყელოში". ამ სენსაციასთან დაკავშირებით უნდა იყოს იმავე ნომერში მოთავსებული საკმაოდ ვრცელი წერილი სამამულო ომზე. ავტორის ვინაობა არა სჩანს.

„საქართველოს გაზეთი" თბილისში „ცალკე კორპუსის შტაბის სტამბაში" იბეჭდებოდა. სამხედრო უწყების ბრძანებებს დიდი ადგილი უჭირავთ გაზეთში, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ გაზეთის მუშაობაში სამხედრო პირნიც საკმაო მონაწილეობას იღებდნენ. შეიძლება სწორედ მათ წრეში ჩაისახა სურვილი გაეცნოთ ქართველი მკითხველისათვის სამამულო ომის ხასიათი და რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკა 1812-1814 წლებში, მით უმეტეს, რომ ამ ომში ქართველებიც გმირულად იბრძოდნენ.

ავტორი ისე ცოცხლად აწერს ომის სურათს, რომ მისი უშუალო მონაწილე უნდა იყოს. იგი საკმაოდ განათლებულია: უმაღლესი რესკრიპტისა და კუტუზოვის ბრძანების შინაარსის გარდა, ფრანგი ავტორის (დურდანის) ციტატაც მოჰყავს სამამულო ომზე. წერილის სათაურია: „გამოკრებულნი ამბავნი წარსულით ჩყიბ (1812) ჩყიგ (1813) და ჩყიდ (1814) წელს სახსოვართა კეთილ შემთხვეულებათათვის".

„ჩყიბ წლის ნახევარში ნაპოლეონს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის დამორჩილებით სრულიად ქვეყანა დაეპყრა და იმავ წლის გასულს ტყვეთ გახდა ჩვენს სამშობლოს მამულში". ნაპოლეონის აგრესიისა და მისი გეგმების ჩაფუშვის ამ სხარტი დახასიათებით იწყებს თხრობას ავტორი. ნაპოლეონს განზრახვა ჰქონდა ევროპის ხალხი ეომებინა რუსეთთან, იქადდა, რომ მას „ბრძოლა ექმნებოდა პოლშეთ სისხლით", მაგრამ ალექსანდრე 1-მა მიუტევა ნაპოლეონის მიერ შეცდომაში შეყვანილ „ძველ თანამენათესავებს".

ხაზგასმულია 1812 წლის სამამულო ომის სამართლიანი, გამანთავისუფლებელი ხასიათი. „რუსეთის დროშები მსწრაფლ გაიშალნენ... არა ბრძოლით დაპყრობისათვის ქვეყანისა, არამედ გამოხსნისათვის ევროპიისა, რომელიც იყო კე (25) წელსა ვნებასა შინა ფრანცუზთ მძლავრებისაგან". ამას კეთილმოაზრე ფრანგი ავქსონნიც (მწერლები) კი აღიარებენო. სამამულო ომის გამანთავისუფლებელ ხასიათს ამჟღავნებს სტატიაში მოყვანილი კუტუზოვის ბრძანების შინაარსიც: „ვიყვნეთ სულგრძელნი, დავსდვათ სხვაობა შორის მტრისა და მშვიდობიანის მცხოვრებისა: სიმართლე და სიმშვიდე ყოფაქცევისა მსოფლიოთა ხალხთა ცხადად უჩვენებენ, რომ ჩვენ არა დამონებასა მათსა და ამოსა დიდებასა ვჰსოწადნოდით, არამედ ვეძიებთ, რათა განვათავისუფლოთ უბედურებათა და შეიწრებათაგან თვით ერნიცა იგი, რომელნიც შეჭურვილ იყვნენ პირის პირ რუსეთისა". უმაღლესი რესკრიპტიც მოითხოვს მხედრისაგან, „რათა იყოს მხნე ბრძოლათა შინა და მშვიდ ჟამსა სლვისა დაყოფნისა დაზავებულთა ქვეყანათა შინა".

ამ ომში რუსმა ხალხმა გაიმარჯვა. ამაოდ შეიარაღდა მტერი. „ყოველნი მძლავრობანი მათნი განქარდებოდნენ. აღზდგა რუსეთი თავისა თვისისა და ევროპისათვის და საზოგადო მტერი დაეცა". რუსი ხალხის გამარჯვების ძირითად მიზეზად ავტორს სარწმუნოება და მამულისადმი სიყვარული მიაჩნია. იგი დიდი რუსი ხალხის გმირულ წარსულს იგონებს, როდესაც „მისივე ძალითა გამოუხსნიათ და დაუცავთ რუსეთი". ნაპოლეონს ეს გალაშქრება იაფად არ დაუჯდა. ავტორი საკმაოდ მხატვრულად გადმოგვცემს იმ დიდი ზარალის შემაძრწუნებელ სურათს, რომელიც „ქვეყნისმპყრობელის" არმიას მოუვიდა.

„სმოლენსკასა, კალუგასა და ყოველთა ადგილთა შინა, სადაცა მიიყვანდნენ ტყვეთა, გაჩნდებოდიან სასიკვდინენი სენნი. მავნებელი ქმნა დატყვევებულთა მტერთა ჩვენთა უმეტეს მავნებელ იყო საჭურველისა მათისა. ალი ცეცხლისა შემწველი ქალაქთა და სოფელთა დაშრტა და ველთა ზედა, სადაც გრგვინვიდნენ სისხლისმღვრელობითი ბრძოლანი ტარუტინითგან პატარა იაროსლავამდე, ბოროდინითგან ნემანათამდე დაეწყვნენ დიდრონნი შეშის ზვავნი, რომელთა ზედა დაიწვებოდნენ ურიცხვნი მძორნი მსხვერპლთა". ამოდენა მსხვერპლი კი გამოიწვია ნაპოლეონის „დიდების-მოყვარე წარწყმენდილმან გარყვნამან, შთამთქმელმან სამეფოთა, ზნეთა და ერთამან".

მაგრამ შეიძლება განა ნაპოლეონის მაგალითის შემდეგ ვიფიქროთ, რომ ქვეყანაზე არ არსებობს სიბოროტის დასჯაო? კითხულობს ავტორი და თვითონვე უპასუხებს: ვხედავდით-რა ნაპოლეონის არმიის მსხვერპლებს, რომელნიც „განფენილ იყვნენ თოვლიანთა ვაკეთა შინა რუსეთისათა ნარითგან ნემანამდე", ვხედავდით-რა იმ დიდ უბედურებას, რომელიც „განცოფებული ნაპოლეონის" ჯარს ეწვია, „არა ძალგვიძს იჭვნეულობად, რომელ ქვეყანასა ზედა არს დასჯა, დამსჯელი ბოროტის მოქმედთა".

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან ნაპოლეონ ბონაპარტეს ბედი ყველას თვალწინ წარმოუდგა. მთელი კაცობრიობის პროგრესული ნაწილი ჰიტლერის ავანტიურაში ფაშიზმის „დასასრულის დასაწყისს" ხედავს. 1941 წლის 22 ივნისი ისევე საბედისწეროა ფაშისტებისათვის, როგორც 1812 წლის 24 ივნისი საბედისწერო გახდა ნაპოლეონისათვის. ევროპის ხალხთა გამოხსნის მისია კვლავ სსრკ ხალხს ხვდა წილად. ამ მხრივ 123 წლის წინად თბილისში დაბეჭდილი პირველი საგაზეთო სტატია დღესაც დიდი ინტერესით იკითხება.

---

[1] პირველი ქართული გაზეთი გამოდიოდა თბილისში 1819-1821 წ. ჯერ „საქართველოს გაზეთის", ხოლო შემდეგ „ქართული გაზეთის" სახელწოდებით. სტალინის სახელობის თბილ. სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რარიტეტსაცავში ინახება 1819 წლის სრული კომპლექტი (43 ნომერი). ჩვენ მიერ შედგენილი მისი ანალიტიკური ბიბლიოგრაფია საჯარო ბიბლიოთეკაში იბეჭდება ცალკე წიგნად. დაწვრილებითი ცნობები ამ გაზეთზე იხ. გუგუშვილის წიგნში: „ქართული ჟურნალისტიკა" (თბ. 1940 წ.) და დასახელებული „ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის" შესავალ წერილში.

ირაკლი ანდრონიკაშვილის საღამო

მწერალთა კავშირის კლუბს განზრახული აქვს ისარგებლოს რუს და უკრაინელ მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწეთა თბილისში ყოფნით და მათი მონაწილეობით სისტემატურად გამართოს ლიტერატურულ-მხატვრული საღამოები.

პირველი ასეთი საღამო, რომელიც 2 იანვარს მოეწყო, მიეძღვნა მწერალ ირაკლი ანდრონიკაშვილის შემოქმედებას.

ირაკლი ანდრონიკაშვილი ფართო ლიტერატურულ საზოგადოებაში და მკითხველთა წრეებში ცნობილია უფრო მეტად, როგორც ლიტერატურათმცოდნე, რომლის კალამს ეკუთვნის რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა მ. ი. ლერმონტოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ამასთან ი. ანდრონიკაშვილმა ყურადღება მიიქცია, როგორც თავისებური ლიტერატურული ჟანრის, ეგრედ წოდებული, ზეპირი თხრობის ჟანრის შემქმნელმა.

ამ ჟანრის სპეციფიურობა ის არის, რომ ავტორი-მთხრობელი იძლევა დახატი პიროვნების მრავალმეტყველ, ცოცხალ პორტრეტს, არა მარტო ამ პიროვნებისათვის დამახასიათებელი სიტყვიერი მასალის შერჩევით, არამედ ჟესტით, მიმიკით და ინტონაციით.

ფსიქოლოგიური გახსნა პერსონაჟებისა და ამ საფუძველზე მიღწეული გასაოცარი მსგავსება პროტოტიპებთან ჰქმნის ი. ანდრონიკაშვილის ზეპირი მოთხრობების მხატვრულ ეფექტს.

ავტორმა აუდიტორიას გააცნო 6-დე თავისი ზეპირი მოთხრობა, მათ შორის „ლომები კარიბჭეზე", „დედოფლის მცველი", „სამგზის შეურაცხყოფილი", „პირველად ესტრადაზე" და სხვ. დარბაზი ი. ანდრონიკაშვილის ყოველ გამოსვლას ხანგრძლივი ტაშისცემით ხვდებოდა.

ახალი საბჭოთა კინოფილმები სამამულო ომზე

დაძაბული საომარი მდგომარეობის მიუხედავად, საბჭოთა კინოხელოვნება ნაყოფიერად მუშაობს, ემსახურება რა ჩვენი მიწა-წყლიდან ველური მტრის განდევნის და განადგურების წმინდა საქმეს. ამ ახლო მომავალში საბჭოთა კინოსტუდიები შეუდგებიან შემდეგი კინოსურათების გადაღებას „ქალაქი რკალში" (სცენარი კოზინცევის და ტრაუბერგის), „უკრაინის ველებზე" (სცენარი ა. კორნეიჩუკის) „ოდესის დაცვა" (კატაევისა), „პარტიზანები" (კაპლერისა).

მოკლე ხანში გამოშვებულ იქნება სატირული კინოფილმები, რომლებიც ამხელენ სისხლით დამთვრალი ფაშიზმის ველურობას: „მკვლელი გამოდის შარა-გზაზე" (რეჟისორი რომმი), „ფაშიზმის სახე" (რეჟისორი პუდოვკინი); კინო ფილმები „ნორვეგიელები" (სცენარი კ. ფედინისა, დადგმა—კულეშოვისა) და „უხილავი იანი" (სცენარი სტოლპერისა, დადგმა — ვ. პეტროვისა), რომელზედაც ამჟამად მოსკოვის და ლენინგრადის სტუდიები მუშაობენ, გვიჩვენებენ ანტიფაშისტურ ბრძოლას ჩეხოსლოვაკიასა და ნორვეგიაში.

ლანჩხუთის თეატრი სამამულო ომის დროს

(საკ. კორესპონდენტისაგან)

ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრმა მუშაობა დაიწყო 1936 წელს ახლად აგებულ თეატრში და ხანმოკლე დროის განმავლობაში საპატიო ადგილი მოიპოვა საქართველოს თეატრებს შორის. 1938 წელს რესპუბლიკის სარაიონო თეატრების დათვალიერებაზე მას სამართლიანად მიაკუთვნეს პირველი ადგილი.

ფაშისტ ბარბაროსების თავდასხმის პირველ დღიდანვე თეატრი მთელი თავისი კოლექტივით ჩაება დიდ სამამულო ომის მომსახურების საქმეში. მისი მთელი რეპერტუარი ახლა საბრძოლო-პატრიოტული და ანტიფაშისტური პიესებისაგან შესდგება. თეატრის სცენაზე იდგმება ა. ლვოვის „სამშობლოსათვის", გ. იარალოვის „გმირი", ს. ერთაწმინდელის „არიული ცეკვა", ნარსის „პატრიოტი", კვასნიცკის „მილიონი მარკა" და სხვა.

უკანასკნელ პრემიერად (13 და 14 დეკემბერს) თეატრმა მაყურებელს უჩვენა ვ. წულაძის პიესა „შურისგება" (დადგმა ავტორისა).

ამჟამად თეატრი გაცხოველებით ამზადებს და უახლოეს ხანებში მაყურებელს უჩვენებს ვოლფის პიესას „პროფესორ მამლოკს".

თეატრის მთელმა დასმა სამამულო ომის გამოცხადებისთანავე უარი სთქვა შვებულების აღებაზე, იგი სამსახურს უწევდა გასაწვევ პუნქტებს და სხვ.

თეატრმა თავდაცვის სახალხო ფონდის სასარგებლოდ გამართა ერთი წარმოდგენა და მომავალში თითო წარმოდგენას გამართავს რაიონის ყველა კოლმეურნეობაში. 24 დეკემბერს თეატრის კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით მოეწყო სპეციალური წარმოდგენა სატანკო კოლონის ფონდისათვის.

გარდა ამისა, თეატრის 8 წამყვანი მსახიობი მონაწილეობას იღებს აგიტბრიგადაში, რომელიც კვირაობით რაიონებში მართავს აგიტ-საღამოებს საკონცერტო განყოფილებით.

აღსანიშნავია, რომ თეატრის მთელი კოლექტივი დიდ მომსახურეობას უწევს გამსვლელი წარმოდგენებით ლანჩხუთის მთელ რაიონს.

გ. ლორთქიფანიძე.

აკად. ე. ვ. ტარლეს „ყირიმის ომი"

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა ახლახან ლენინგრადში გამოსცა აკადემიკოს ე. ვ. ტარლეს ახალი წიგნი „ყირიმის ომი", რომელიც წარმოადგენს ამ მეცნიერის დიდი ისტორიული შრომის პირველ ნაწილს და ეხება ყირიმის თავდაცვის პირველ პერიოდს 1854 წლის სექტემბრამდე. წიგნის მეორე ნაწილში, რომელსაც ისტორიკოსი ამჟამად ამზადებს შევა: სევასტოპოლის თავდაცვის აღწერა, კამპანია კავკასიაში 1854-1855 წლებში, 1855 წლის ბალტიის კამპანია და სხვ.

ტარლეს წიგნი ემყარება დღემდე გამოუქვეყნებელ მდიდარ საარქივო მასალას და უცხოეთის ბეჭდვითს წყაროებს.

გმირი დედაქალაქის — მოსკოვის ქუჩებზე: საზენიტო ტყვიამფრქვევი (მარჯვნივ სერჟანტი მ. ტროფიმოვი) მზად არის დაუშინოს ცეცხლი ფაშისტ ბომბდამშენს. საკდესის ფოტოქრონიკა.

მამა მილონი

გი დე მოპასანი

ერთი თვეა უკვე, რაც მზე უხვად აფრქვევს ყანებზე თავის ალივით მცხუნვარე სხივებს. სიხარულით აღსავსე ცხოვრება იფურჩქნება ამ ცეცხლოვანი წვიმის ქვეშ. თვალი ვერა სწვდება ამწვანებულ მიწას. ცა ლურჯია კიდურებამდე. აქა-იქ ველზე გაფანტული ნორმანდიული ფერმები შორიდან პატარა ტყეებად მოჩანან, რომელთაც გარს წერწეტა წიფლის ქამარი არტყია, ახლოს კი, როდესაც ჭიით დაჭმულ ჭიშკარს შეაღებთ გეგონებათ, უზარმაზარი ბაღია, სადაც აყვავებულან გლეხებივით ტანმაგარი მრავალწლოვანი ვაშლის ხეები. ხეების მოკაუჭებული, დაკორკნილი და გაშავებული ჯირკვები ეზოში გამწკრივებულან და თავიანთი მშვენიერი თეთრი და ვარდისფერი გუმბათები ცისკენ აუშვერიათ. მათი გაფურჩქნის ნაზი სურნელება უერთდება კარიის ბოსლებიდან მომავალ სუნს და ოხშივარს ნაკელისას, რომელზედაც ქათმები წამოსკუპებულან.

შუა დღეა. გარეული მსხლის ხის ქვეშ, იქვე კარების წინ, ოჯახი სადილობს—მამა, დედა, ოთხი ბავშვი, ორი მოახლე ქალი და სამი მოჯამაგირე ბიჭი. სჭამენ წვნიანს, შემდეგ შეექცევიან რაგუს, რომელშიაც ბლომად არის ღორის ქონზე შემწვარი კარტოფილი.

დროგამოშვებით წამოდგება ერთი მოახლე ქალი და მიდის სარდაფში, რომ შეავსოს დოქი სიდრით[1].

სახლის პატრონი, ორმოცი წლის ვებერთელა ვაჟკაცი, აკვირდება სახლის წინ გაშენებულ, ჯერ კიდევ გატიტვლებულ ვენახს, რომელიც, გველივით დაკლაკნილი, მიხოხავს მთელი კედლის გასწვრივ.

ბოლოს ამბობს:

— მამიჩემის ვენახი წრეულს ადრე იფურჩქნება. ვინ იცის, იქნებ ნაყოფიც მოგვცეს.

ქალი პირს მიიბრუნებს იქითკენ და უსიტყვოდ უცქერის ვენახს. ვენახი, გაშენებულია სწორედ იმ ადგილას, სადაც სახლის პატრონის მამა დახვრიტეს.

* * *

ეს ამბავი მოხდა 1870 წლის ომის დროს. პრუსიელებს მთელი ეს მხარე ეჭირათ. მათ წინააღმდეგობას უწევდა გენერალი ფედერბი ჩრდილოეთის არმიით.

პრუსიელების მთავარი შტაბი ამ ფერმაზე იყო დაბანაკებული. მათ დახვდა მოხუცი გლეხი, მამა პიერ მილონი, რომელსაც ეს ფერმა ეკუთვნოდა. პრუსიელები მან რაც შეიძლება კარგად მოათავსა.

ერთი თვე გავიდა, რაც გერმანელთა ავანგარდი მეთვალყურედ იყო ამ სოფელში. ფრანგები უმოქმედოდ იდგნენ ათიოდე ლიეს[2] მანძილზე იქიდან. მიუხედავად ამისა, ყოველღამეს მაინც იღუპებოდნენ გერმანელი ულანები.

მზვერავები, რომელთაც მიდამოების დასათვალიერებლად ჰგზავნიდნენ, თუ კი ისინი ორ ან სამ კაცს არ აღემატებოდნენ, არასოდეს აღარ ბრუნდებოდნენ უკან.

დილით პოულობდნენ მათ მკვდრებს მინდორში ან ხრამში. ხმლით აკუწული მათი ცხენებიც აქა-იქ ეყარნენ გზაში.

ამ მკვლელობებს, როგორც ეტყობოდა, სჩადიოდნენ ერთი და იგივე პირები, რომელთა აღმოჩენაც შეუძლებელი გახდა.

მთელი მხარე ტერორიზებული იყო. გლეხებს ხვრეტდნენ უბრალო დასმენის შედეგად, ქალებს ატუსაღებდნენ. ბავშვების დაშინებითაც კი განიზრახეს სიმართლის გამომჟღავნება. ვერაფერს გახდნენ.

მაგრამ აი ერთ დილას მამა მილონი მიწაზე გაშხლართული და დასახიჩრებული ნახეს თავის თავლაში. ორი მუცელგამოფაშული ულანი კი იპოვნეს სამი კილომეტრის მანძილზე ფერმიდან. ერთ მათგანს ჯერ კიდევ ეჭირა ხელში გასისხლიანებული იარაღი. ეტყობოდა, იგი თავის დასაცავად იბრძოდა.

მაშინვე შეადგინეს სამხედრო ტრიბუნალი, რომელიც იქვე, ფერმის წინ, ცის ქვეშ შეიკრიბა. იქვე მიიყვანეს მოხუცი.

იგი სამოცდარვა წლისა იქნებოდა. ის იყო პატარა, გამხდარი, წელში ოდნავ მოხრილი კაცი, უზარმაზარი ხელებით, რომლებიც კიბორჩხალის მარწუხებს მოგაგონებდნენ. მისი გახუნებული თმა, ყველგან შეთხელებული და იხვის წიწილის ბუსუსივით რბილი, საშუალებას იძლეოდა გენახათ თავის ქალაზე გადაჭიმული კანი. მზეზე დამწვარ და დანაოჭებულ კისრის კანზე მოსჩანდნენ მსხვილი ძარღვები, რომლებიც ჰქრებოდნენ ყბის ქვეშ და ხელახლა ჩნდებოდნენ საფეთქლებთან. მოხუცს ამ მხარეში ძუნწს და მძიმე ხასიათის ადამიანად იცნობდნენ.

მამა მილონი ოთხი ჯარისკაცის შუაში ჩააყენეს, სამზარეულო მაგიდის წინ, რომელიც გარეთ იყო გატანილი. ხუთი ოფიცერი და ერთი პოლკოვნიკი მოუსხდნენ მაგიდას.

პოლკოვნიკმა გამოკითხვა ფრანგულად დაიწყო.

— მამა მილონ, მას შემდეგ, რაც ჩვენ აქა ვართ, ქების მეტი არაფერი გვეთქმის თქვენზე. თქვენ ყოველთვის თავაზიანად და ყურადღებით გვეპყრობოდით. მაგრამ დღეს ბრალი გედებათ. საჭიროა ყველაფრის გამორკვევა. როგორ მიიღეთ ჭრილობა, რომელსაც თქვენს სახეზე ვხედავთ?

გლეხმა არა უპასუხა-რა.

პოლკოვნიკმა განაგრძო:

— თქვენი დუმილი თქვენვე გამტყუნებთ. მაგრამ მე მინდა, მიპასუხოთ. გესმით თუ არა? იცით თუ არა, ვინ მოჰკლა ის ორი ულანი, რომლებიც ამ დილით ჯვარცმასთან[3] იპოვეს?

— მე მოვკალი.

პოლკოვნიკი ერთხანს გაოცდა, შემდეგ დაკვირვებით დააცქერდა ტუსაღს. მამა მილონი უგრძნობლად იდგა. მისი სახე გლეხურ სიტლანქეს გამოხატავდა. იდგა თვალებ-დაშვებული, ისე, თითქოს აღსარებას ეუბნებაო თავის მღვდელს. მხოლოდ ერთი რამე ამჟღავნებდა მის შინაგან აღელვებას: განუწყვეტლივ, ზედიზედ ჰყლაპავდა ნერწყვს, ამასთან ისეთის დაძაბულობით, თითქოს აღრჩობენო.

მოხუცის ოჯახი — მისი ვაჟი, რძალი და ორი შვილიშვილი — მის უკან იდგა, ათიოდე ნაბიჯის მანძილზე, შეშინებული და თავზარდაცემული.

პოლკოვნიკმა განაგრძო:

— გეცოდინებათ ისიც, თუ ვინ დახოცა ჩვენი ჯარის მზვერავები, რომლებსაც პოულობდნენ ყოველ დილას სოფელში, ამ ერთი თვის განმავლობაში.

მოხუცმა უგრძნობლად უპასუხა:

— მე გახლდით.

— მაშ თქვენ დახოცეთ ყველანი?

— დიახ, მე.

— მარტო თქვენ?

— მარტო მე.

— მითხარით, როგორ მოახერხეთ ყოველივე ეგ?

ეხლა კი თითქოს აღელდა მოხუცი. მან წაილუღლუღა:

— განა თვითონ მე ვიცი, როგორ მოვახერხე? ვმოქმედებდი ისე, როგორც მომიხდებოდა.

პოლკოვნიკმა განაგრძო:

— გაფრთხილებთ, ყველაფერი უნდა სთქვათ. კარგს იზამთ, თუ ახლავე გადასწყვეტთ ამ საკითხს. მაშ დაიწყეთ!

მოხუცმა აღშფოთებით გადახედა თავის ოჯახს, რომელიც მის უკან იდგა და სმენად იყო გადაქცეული. ერთხანს შეყოყმანდა, შემდეგ ერთბაშად დაიწყო:

— ერთ საღამოს, ეს იყო თქვენი აქ მოსვლის მეორე დღეს, დაახლოვებით ათ საათზე, შინ ვბრუნდებოდი. თქვენ და თქვენმა ჯარისკაცებმა ჩამომართვით მაშინ მე ორმოცდაათ ეკიუდ[4] ღირებული საქონლის საკვები, ძროხა და ორი ცხვარი. ჩემს თავს ვუთხარი: რამდენჯერაც ისინი ოც ეკიუს ჩამომართმევენ, იმდენჯერ სამაგიეროს გადავახდევინებ-მეთქი. ამას გარდა, მე სხვა რამეც მედვა გულში, რაზედაც ახლავე მოგახსენებთ. თვალი მოვკარი ერთ-ერთ თქვენ მხედარს, რომელიც ჩიბუხს აბოლებდა ხრამზე, ჩემი კალოს უკან. ჩამოვიღე ჩემი ცელი და შემოუარე ჯარისკაცს უკანიდან. მივდიოდი ფრთხილად, რათა მას არა გაეგონა-რა. ერთი მოქნევით გავაგდებინე თავი, მხოლოდ ერთი მოქნევით. თავთავივით დაეცა, „ვაის" თქმაც-კი ვერ მოასწრო... აი ამ გუბურის ფსკერზე მოძებნეთ. იპოვნით ნახშირის ტომარაში, რომელსაც ზევიდან ქვა აწევს. მე ჩემი მოსაზრება მქონდა. გავხადე ტანისამოსი და ჩექმები. ქუდიც წავიღე. ყველაფერი ეს დავმალე მარტენის ტყეში, თაბაშირის ღუმელში, ეზოს უკან.

მოხუცი გაჩუმდა. სახტად დარჩენილმა ოფიცრებმა ერთმანეთს გადახედეს. დაკითხვა ხელახლა დაიწყო, და აი რა გაიგეს.

* * *

მას შემდეგ, რაც მოხუცმა პირველი მკვლელობა ჩაიდინა, იგი ერთად-ერთი ფიქრით ცხოვრობდა: „მოჰკალ პრუსიელები!" ისინი სძულდენ მოხუცს ხელმომჭირნე და პატრიოტ გლეხის იდუმალი და გაფთრებული სიძულვილით. მას თავისი საკუთარი აზრი ჰქონდა, როგორც თვითონ ამბობდა.

მამა მილონმა რამდენიმე დღე მოიცადა. თავისუფალი მიმოსვლის საშუალებას აძლევდნენ, შეეძლო სოფელში შესვლა და გასვლა სურვილისამებრ, იმდენად მიაჩვენა თავი თავის გამარჯვებულებს თავმდაბალ, მორჩილ და თავაზიან კაცად. ამის წყალობით იგი ხედავდა, როგორ ჰგზავნიდნენ ისინი ყოველ საღამოს ესტაფეტებს. და ერთ ღამეს, გამოვიდა რა სახლიდან, მან ყური მოჰკრა იმ სოფლის სახელს, სადაც მხედრები მიდიოდნენ. ჯარისკაცებთან ხშირად ყოფნის დროს მან უკვე იცოდა რამდენიმე გერმანული სიტყვა.

იგი თავის ეზოდან გავიდა, ტყეში შეიპარა, თაბაშირის ღუმელს მიაღწია, გრძელი გალერეის ბოლოში მიწა გათხარა, ამოიღო იქიდან მოკლული ჯარისკაცის ტანისამოსი და ჩაიცვა იგი.

მაშინ იწყო ხეტიალი მინდორში: ხან მიხოხავდა მიწაზე, ხანაც იმალებოდა გორაკებს უკან და, როგორც შეშინებული ბრაკონიერი[5] მიაყურებდა პატარა ხმაურსაც-კი. როდესაც დარწმუნდა, რომ საათმა დაჰკრა, გზას მიუახლოვდა და ბუჩქნარში დაიმალა. ერთხანს განაბული იდგა იქ. ბოლოს, შუაღამისას, გზიდან მოისმა ცხენის ფეხის ხმა. მოხუცმა ყური მიწას დაადო, რათა დარწმუნებულიყო, რამდენი მხედარი ახლოვდებოდა. შემდეგ მოემზადა.

ულანი ცხენს აჩქარებული ჩორთით მოაჭენებდა. დეპეშები მოჰქონდა. მოდიოდა თვალებ-დაჭყეტილი და ყურებ-აცქვეტილი. როგორც კი ათი ნაბიჯის მანძილზე მიუხლოვდა, მამა მილონი ამოცოცდა გზაზე კვნესით: „მიშველეთ, მიშველეთო". მხედარი შეჩერდა, დაინახა გერმანელი ჯარისკაცი. დაჭრილიაო, გაიფიქრა, გადმოხტა. მიუახლოვდა ისე, რომ არავითარი ეჭვი არ შეჰპარვია, და როდესაც იხრებოდა უცნობ ადამიანისაკენ, იგრძნო შუა მუცელში ჩაცემული ხმლის გრძელი და მოკაკული პირი. იგი ხმაამოუღებლივ დაეცა მიწაზე. მაშინ ნორმანდიელი მოხუცი გლეხის ჩუმი სიხარულით განათებული მამა მილონი ზეზე წამოდგა და ყელი გამოსჭრა უსულო გვამს. შემდეგ მიაჩოჩა იგი თხრილამდე და ჩააგდო შიგ.

ცხენი წყნარად უცდიდა პატრონს. მამა მილონი შემოახტა ცხენს და გააქროლა იგი მინდვრებისაკენ.

არ გასულა ერთი საათი, რომ მან თვალი მოჰკრა ორ ულანს, რომლებიც ბანაკში ბრუნდებოდნენ. მოხუცი პირდაპირ გაემართა მათკენ: მიშველეთ, მიშველეთო, იძახდა იგი. პრუსიელებმა დაინახეს თავიანთ ფორმაში გამოწყობილი მხედარი და ახლო მიუშვეს იგი. მაგრამ მამა მილონი ყუმბარასავით დაატყდა მათ თავს და ერთი მათგანი ხმლით, ხოლო მეორე რევოლვერით განგმირა.

შემდეგ აკუწა ცხენები, ნამდვილი გერმანული ცხენები, ჩუმად დაბრუნდა თაბაშირის ღუმელში და დამალა თავისი ცხენი ბნელი გალერეის სიღრმეში. იქვე დასტოვა სამხედრო ფორმა. ხელახლა ჩაიცვა თავისი ძონძები, დაბრუნდა შინ, ჩაწვა ლოგინში და იძინა დილამდის.

ის არ გასულა სახლიდან ოთხი დღის განმავლობაში, რადგან უცდიდა დაწყებული გამოძიების დამთავრებას. მეხუთე დღეს ხელახლა წავიდა და ასეთივე ეშმაკობით მოჰკლა კიდევ ორი ჯარისკაცი. მას შემდეგ აღარ გაჩერებულა: ყოველ ღამ დათარეშობდა, ხოცავდა პრუსიელებს ხან აქ, ხან იქ, დააჭენებდა ცხენს ცარიელ ყანებში ეს ადამიანზე მონადირე, თავზეხელაღებული ულანი. როგორც კი დაამთავრებდა მოხუცი მხედარი თავის საქმეს, სტოვებდა გვამებს და ბრუნდებოდა უკან თავისი ცხენის და სამხედრო ფორმის შესანახავად თაბაშირის ღუმელის სიღრმეში.

შუადღისას უკვე დამშვიდებული მიდიოდა იგი ღუმელისაკენ, რათა მიეტანა შვრია და წყალი თავის ბედაურისათვის. უხვად ჰკვებავდა მოხუცი ამ ბედაურს, რადგან დიდ ჯაფას მოითხოვდა მისგან.

მაგრამ წინა ღამეს ერთმა იმ ჯარისკაცთაგანმა, რომელსაც ის თავს დაესხა, ხმლით დასჭრა მოხუცი გლეხი სახეში. მიუხედავად ამისა, მოხუცმა მაინც მოჰკლა ისიც და მისი ამხანაგიც. ამის შემდეგ მან მაინც მოახერხა უკან დაბრუნება, ცხენის დამალვა და ტანისამოსის გამოცვლა. მაგრამ დაბრუნებისას ისე დასუსტდა, რომ თავლამდის ძლივს მიცოცდა. იქ იგი ჩალაზე მწოლარე ნახეს, მთლიანად დასისხლიანებული...

* * *

როგორც კი დაამთავრა თავისი მოთხრობა, მან ერთბაშად თავი ასწია და ამაყად გადახედა პრუსიელ ოფიცრებს.

პოლკოვნიკმა, რომელიც ულვაშებს იწიწკნიდა, ჰკითხა:

— მეტი არაფერი გაქვთ სათქმელი?

— არა, მეტი არაფერი, ანგარიში გასწორებულია: თექვსმეტი კაცი მოვკალი, არც მეტი, არც ნაკლები.

— იცით, რომ სიკვდილი მოგელით?

— მე პატიება არ მითხოვნია!

— ყოფილხართ როდისმე ჯარისკაცად?

— დიახ, ვიყავი. თავის დროზე მეც მიმიღია მონაწილეობა ომში. გარდა ამისა, თქვენ მოჰკალით მამა ჩემი, რომელიც იმპერატორ პირველის ჯარისკაცი იყო. კინაღამ დამავიწყდა, რომ ერთი თვის წინად ევრეს მახლობლად თქვენ მოჰკალით ჩემი უმცროსი ვაჟი ფრანსუა. მე თქვენი მემართა და გადაგიხადეთ. ქვითა ვართ.

ოფიცრებმა ერთმანეთს გადახედეს.

მოხუცმა განაგრძო:

— რაც ჩემი მამის ნაცვლად, რაც ჩემი შვილის ნაცვლად. მე არ მოვსულვარ თქვენთან სამტროდ. არც გიცნობთ თქვენ, სრულიად არ გიცნობთ! თქვენ კი ჩემსას მობრძანდით და განკარგულებებს იძლევით ისე, თითქოს თქვენსას იყოთ. მე ვიძიე შური. ამას სრულიად არ ვნანობ.

და, გაიმართა რა წელში, მოხუცმა გულზე ხელები დაიკრიფა.

პრუსიელები დიდხანს თათბირობდნენ, ერთი მათგანი, კაპიტანი, რომელმაც ვაჟი დაჰკარგა ერთი თვის წინად, იცავდა მოხუც მილონს.

მაშინ პოლკოვნიკი წამოდგა, მიუახლოვდა მოხუცს და მიმართა ჩურჩულით:

— გამიგონეთ, მოხუცო, შეიძლება გამოვნახოთ რაიმე საშუალება, რომ შეგინარჩუნოთ სიცოცხლე, ეს იმით, რომ...

მაგრამ მოხუცი სრულებით არ უსმენდა პოლკოვნიკს, თუმცა შიგ თვალებში შესცქეროდა მას. შემდეგ, როდესაც ქარი მოუსვენრად უჩხევდა ურჩ თმას თავზე, იგი საშინლად დაიღმიჭა, რამაც სრულიად შესცვალა მისი გამხდარი და ჭრილობით [illegible] სახე. ბოლოს ღრმად შეისუნთქა ჰაერი და მთელი თავისი ძალღონით აფურთხა პრუსიელს შიგ სახეში.

ოფიცრები მაშინვე ფეხზე წამოვარდნენ, ისინი ერთისა და იმავე დროს აძლევდნენ ბრძანებებს.

არ გასულა ერთი წუთიც, რომ მოხუცი კედელს მიაყენეს და დახვრიტეს, დახვრიტეს იმ დროს, როცა იგი ჯერ კიდევ უღიმოდა თავის უფროს ვაჟს ჟანს, თავის რძალსა და ორ შვილიშვილს, რომელნიც გარეტიანებულნი შესცქეროდნენ მას.

თარგმანი ფრანგულიდან

კოტე თოფურიძისა

---

[1] სიდრი ვაშლისაგან დამზადებული შუშხუნა სასმელია, რომლითაც განთქმულია ნორმანდია, საფრანგეთის ჩრდილოეთი პროვინცია.

[2] ლიე უდრის 4 კილომეტრს.

[3] ზოგან საფრანგეთში და კერძოდ ნორმანდიაში სოფლის განაპირას ხშირად დგას ქრისტეს ან ღვთისმშობლის ქანდაკება.

[4] ეკიუ — ოქროს ფული.

[5] ქურდი მონადირე.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე,
გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო ჭუღუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 43464